

Handwritten title or header in Greek script, possibly a religious or philosophical treatise.

Main body of handwritten text in Greek script, consisting of approximately 25 lines of dense cursive handwriting.

Large, decorative signature or flourish at the bottom of the page, written in a highly stylized cursive script.

პირველი წერილი

მიტროპოლიტ ანთიმოზ ივერიელისა¹
შკეი² მხარეში მყოფი მამასახლისებისა და
მოსამართლეების სახელზე, რათა მოზრძანდნენ
კანონიკური კურთხევისა და დამოდვრის მისაღებად
-1709, 3 აგვისტო.

წყალობითა ღვთისათა სრულიად უნგროვლახეთის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი და იმიერკარპატეთის³ ეგზარხოსი ანთიმოზი.

ბრაშოვის შკეის მხარეში არსებული ეკლესიების მმართველს, მამასახლისებს და მოსამართლეებს, თქვენი ბატონი მთავარი [კონსტანტინე] გითვლით ჯანმრთელობასა და ცხოვნებას, ხოლო მე, ჩემი სიმდაბლით გიგზავნით დალოცვასა და კურთხევას, ამასთან ერთად ვფიქრობ რამდენად მძმეა ურჩობის ცოდვა [რომლის მეშვეობითაც სამყაროში ადამიანთა მოდგმის მიერ დაიწყო სასჯელები და წამება და დღემდე მათი ბატონობის ქვეშ ვიმყოფებით]. და ჩვენ გავიხსენეთ, რომ უკვე თითქმის ერთი წელი სრულდება რაც თქვენ და მანდ არსებულ ეკლესიების მღვდლებს, როგორც ჩვენი სხეულის წმინდა ნაწილებს ჩვენი სიმდაბლის წერილით მოგმართეთ, მოგიკითხეთ და მოგიწოდეთ, რომ თქვენი ერთი მღვდელთაგანი მაინც მოსულიყო ჩვენთან დალოცვისა და სულიერი დარიგებების მისაღებად, იმ ვალდებულების შესაბამისად, რომელიც გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ჩვენი საეგზარხოსო და უნგროვლახეთს სამიტროპოლიტო ტახტი კანონიკურ მორჩლებაში იმყოფება ჯერ კიდევ 1701 წლიდან, როდესაც მიტროპოლიას მართავდა ჩვენი

თანამწირველი ცხონებული ყოვლადუსამღვდელოესი მეუფე თეოდორე... მიტროპოლიტი და ეგზარხოსი სრულიად უნგრო-ვლახეთისა. მაგდენი ხნის განმავლობაში დღემდე არც თუ რომელიმე მღვდელი ჩამოსულა თქვენი მხარიდან, არამედ არც, ღმერთმა ნუ ქნას, არც ჩვენი მორჩილებიდან გასვლის წერილი არ მიგვიღია, რომ ჩვენი მცხოვანნი გავიდნენ ჩვენი ფარიდან. ამის გამო ჩვენ დიდად ვწუხვართ და ვფიქრობთ მათზე გულმოდგინებით, რომ არ მოსწყდნენ ისინი ჩვენი სამოდვრო მმართველობიდან. ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალე მოვითხოვო თქვენგან პასუხი ამ სიჩუმისა და უპასუხისმგებლობის გამო, ეს არის მიზეზი, რატომაც ვითხოვთ დაუყოვნებლივ გავიგოთ თქვენგან როგორ უნდა ვიმოქმედოთ თქვენს მიმართ სულიერი დამოდვრის საქმეში, რის შემდეგაც მიგაბაროთ დიდი და მაღალი ღმერთის წყალობისა და მფარველობის ქვეშ.

[სამყაროს შექმნიდან] 7217 წელი. აგვისტო.

უნგროვლახეთის მიტროპოლიტი

ანთიმოზი

კომენტარები

¹ წერილი თარგმნილია კრებულიდან: ანთიმოზ ივერიელი; წერილები, ბუქარესტი, გამ-ბა ბაზილიკა, 2014. გვ. 27-29. Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel, Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu și acad. Gabriel Ștrempel. - București : Basilica, 2014; Prima scrisoare⁷⁴ a mitropolitului Antim Ivireanul adresată gocimanilor și juraților din Șchei ca să se prezinte la el pentru a primi binecuvântări și învățături - 1709, 3 august.

² შკეი - ტრანსილვანიის რეგიონში ქალაქ ბრაშოვის შემოგარენში არსებული მხარე (მთარგმნელის სქოლიო).

³ იგულისხმება კარპატების მთების ჩრდილო-დასავლეთით არსებული ტერიტორია, რომელიც XVIII-XIX საუკუნეებში არ შედიოდა რუმინეთის სახელმწიფო საზღვრებში და იმყოფებოდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ ეკლესიურად ეს მხარე შედიოდა ბუქარესტის ან უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიის შემადგენლობაში. დღეს იმერკარპატეთში ვგულისხმობთ რუმინეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფ ტრანსილვანიის რეგიონს და უკრაინის რესპუბლიკაში შემავალ ე.წ. „ზაკარპატის“ მხარეს (მთარგმნელის კომენტარი).